ახალი გამარჯვება

თბილისის “დინამომ” ერევნელი თანამოკლუბენი პირველ წრეში დაამარცხა ანგარიშით 2:1. ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვეს დინამოელებმა მეორე შეხვედრაში, რომელიც ჩატარდა 3 სექტემბერს თბილისის “დინამოს” სტადიონზე. მასპინძლებმა პირველივე წუთებში შეუტიეს სტუმრებს და შედეგსაც მიაღწიეს. ა. ზაზროშვილმა კარგად გამოიყენა დამცველების შეცდომა, სწრაფად გაიჭრა წინ, ზუსტად დაარტყა და... ერევნის მეკარემ კულეჯანმა ბურთი ბადიდან გამოიტანა (1:0).

შემდეგ თბილისელები რამდენიმეჯერ გავიდნენ სტუმრების კართან, მაგრამ ან დარტყმას აგვიანებდნენ ან ერევნელთა დამცველები ახერხებდნენ შეტევის მოგერიებას.

37-ე წუთზე ჩალიკიანმა ადგილი შეიცვალა, მარცხენა ფრთაზე გადავიდა და კარში ძლიერად დაარტყა. მარღანიამ ბურთი აიღო, მაგრამ ვერ შეაჩერა ხელში. სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს. ტაიმის მიწურულში ა. ღოღობერიძემ იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა: იგი სამ დამცველს შორის გავიდა და კარში ზუსტად დაარტყა (2:1).

თამაშის მეორე ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 6 ოქტომბერი, 1949 წ.